ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N44

ქ.თბილისი

16 იანვარი, 2024 წელი
14⁰⁰საათი

საკრებულოს ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები:

ნინო ვარდოსანიძე - სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე;

კახაბერ ლაბუჩიძე - განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე;

შალვა ოგბაიძე - სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

გურამ ოქროპირიძე - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე;

ლევან ჟორჟოლიანი - იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე;

ირაკლი ხელაძე - ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

საკრებულოს ფრაქციების თავმჯდომარეები:

ოთარ გრიგოლია - ფრაქციის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“ საკითხი წარადგინა გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ საკრებულოს კომისიებში განისაზღვრა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, რომლის მიხედვით, საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა განისაზღვრა საკრებულოს 13 წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვრა შემდეგნაირად: ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – 7 წევრი; ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 2 წევრი; ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ – 1 წევრი; ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ – 1 წევრი. საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაწევრიანებულები არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვრათ 2 კვოტა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შესახებ დანართი ოქმს თან ერთვის).

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს ბიუროს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ თორნიკე ბიკაშვილმა, ანა გოგოლაძემ და მამუკა გუგეშაშვილმა დატოვეს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და აქვე აღნიშნა, რომ ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იქნა ლილე ლიპარტელიანი (წერილი N03-032400990 თარიღი: 09.01.2024).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილედ ლილე ლიპარტელიანის არჩევის შესახებ საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

საკრებულოს ბიურომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები წარმოდგენილი დანართის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა (შემადგენლობა) განისაზღვროს საკრებულოს 13 (ცამეტი) წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

1. ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ – 7 (შვიდი) წევრი;
2. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 2 (ორი) წევრი;
3. ფრაქცია „თბილისი საქართველოსთვის“ – 1 (ერთი) წევრი;
4. ფრაქცია „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ – 1 (ერთი) წევრი.

საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვროთ 2 (ორი) კვოტა.